ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35

2012 წლის 30 ოქტომბერი

დ.სტეფანწმინდა

,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 დეკემბრის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 დეკემბრის №57 დადგენილებაში (სსმ, 03.01.2012, 210020010.35.151.016076) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი სახის მე-7 პუნქტი:

„7. თითოეულ კლუბის მაგიდაზე – კვარტალში 5000 ლარი“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ხუციშვილი**